ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-12/14330395-16

"10" 12 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, უნივერსიტეტის ქუჩა №6-ში (საკ. კოდი №01.14.06.008.136) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1281718 21.05.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, უნივერსიტეტის ქუჩა №6-ში (საკ. კოდი №01.14.06.008.136) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე ზოგიერთ ადგილას მოწყობილია თუნუქის ფურცელი და წყალმიმღები მილები. ნაწილობრივ შეცვლილია ზენიტური შუქმნათების მდებარეობა, ტერიტორიის მოწყობა და ზოგიერთ მონაკვეთში მოწყობილია ღობე და შლაგბაუმები. გადახურვის ქვეშ შეცვლილია კონსტრუქციების ფორმა.

„17-11" ფასადი: „9-7" მონაკვეთში შეცვლილია ორი კარის ნახატი და მანათობელი ყუთების გაბარიტი.

„ტ-ა" ფასადი: „ტ-ო" მონაკვეთში ორის ნაცვლად მოწყობილია ერთი კარი და შეცვლილია გაბარიტი. +0.00 ნიშნულზე „კ-ე" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის სიგრძე.

„ა-ტ" ფასადი: -5.30 ნიშნულზე „ე-ვ" მონაკვეთში ვიტრაჟში მოწყობილია ცხაური. „მ-ნ" მონაკვეთში ვიტრაჟში მოწყობილია ცხაური და გამწოვი. „ნ-ო" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის გაბარიტი. +0.00 ნიშნულზე „ა-ა" ღერძთან მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის ცხაური. „ე-ო" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი და ზოგიერთი ვიტრაჟი შევსებულია დაბურული მინით.

„1-17" ფასადი: „1-5" მონაკვეთში პანდუსი არ არის მოწყობილი, შეცვლილია კედლის ფორმა და ნაწილი შელებილია. „7-14" მონაკვეთში კარების ზემოთ მოწყობილია მსუბუქი შეფუთვა. „8-10" მონაკვეთში შეცვლილია კარის და ვიტრაჟის მდებარეობა. ±0.00 ნიშნულზე „8-14" მონაკვეთში მოწყობილია გადახურული ლითონის კონსტრუქციები. „15-15" ღერძთან მოწყობილია პწკალა.

-5.30 ნიშნულზე ნაწილობრივ მოწყობილია ლითონის სვეტები და დეტალები. „4-4" და „ი-ი" ღერძების მიმდებარედ მონოლითურ კედელში მოწყობილია ღიობი. შენობის შიგნით ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების ფორმა, რაოდენობა და ზოგიერთი კოლონის ნაცვლად მოწყობილია პილონი. ზოგიერთ მონაკვეთში შეცვლილია კედლის სისქე და კოლონის დაბოლოებაზე მოწყობილია ლითონის ელემენტები. „ნ-ნ" და „13-13" ღერძების კვეთასთან შეცვლილია კიბის მდებარეობა და ბაქნის სიგრძე. ნაწილობრივ შეცვლილია შიდა კიბის საფეხურების რაოდენობა. „17-17" ღერძზე საყრდენი კედლის ნაწილი გადაწეულია ამავე ღერძის გარეთ. „მ-ნ" მონაკვეთში „16-16" ღერძთან მოწყობილია ლითონის სვეტები, კიბე და ანტრესოლი, რის ხარჯზეც გაზრდილია ფართი 29მ²-ით. +2.00 ნიშნულზე „1-5" მონაკვეთში შეცვლილია ფილის ფორმა და მოწყობილია ლითონის ელემენტები.

„ტ-ტ" და „6-6" ღერძების კვეთასთან მოწყობილი კედელი ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №13-62 23.12.2011წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა"-ს, გიორგი მეთეფშიშვილს, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, უნივერსიტეტის ქუჩა №6-ში (საკ. კოდი №01.14.06.008.136) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/143303955-16 26.11.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. მუკირიშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ვ-12/14351834-16

"18" 12 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, უნივერსიტეტის ქუჩა №6-ში (საკ. კოდი №01.14.06.008.136) მდებარე შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-12/14330395-16 10.12.2014წ. ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2014 წლის 17 დეკემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს განცხადებით მომართა შპს ,,ტოიოტა ცენტრი თეგეტა"-ს წარმომადგენელმა ანა მასურაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, უნივერსიტეტის ქუჩა №6-ში (საკ. კოდი №01.14.06.008.136) მდებარე შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-12/14330395-16 10.12.2014წ. ბრძანებაში ცვლილების შეტანა. კერძოდ, №ბ-12/14330395-16 ბრძანების სამოტივაციო ნაწილში მითითებული წითელი ხაზის დარღვევის ამოღება, რადგან განმცხადებლის განმარტებით წითელ ხაზთან დაკავშირებული დარღვევა გამოსწორებულია. სამსახურის სპეციალისტების მიერ საკადასტრო წითელი ხაზის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ №ბ-12/14330395-16 ბრძანების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნული დარღვევა ,,ტ-ტ" და ,,6-6" ღერძების კვეთასთან მოწყობილი კედელი ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს" გამოსწორებულია, (საქმეშია ცნობა 18.12.2014წ.).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად "ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს", ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ,,ადმინისტრაციულ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით".

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილების შეტანა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების, ქ. თბილისის საკრებულოს №13-62 23.12.2011წ. გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/14330395-16 10.12.2014წ. ბრძანებაში და ბრძანების სამოტივაციო ნაწილიდან ამოღებულ იქნას წინადადება ,,ტ-ტ" და ,,6-6" ღერძების კვეთასთან მოწყობილი კედელი ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს".

2) წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/14330395-16 10.12.2014წ. ბრძანებასთან ერთად.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14351834-16 17.12.2014წ. განცხადება.

უფროსის პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი **დავით მედულაშვილი**